შ.პ.ს. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "ბერმელი"

საკრედიტო ხაზის, სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება N ----------

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ბერმელი“ ---------- 2024 წელი

ერთი მხრივ, შ.პ.ს. მისო ,,ბერმელი“ (რეგისტრირებული 12.08.1998წ., საიდენტიფიკაციო #245431108, იურიდიული მისამართი: ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. 93/99) შემდგომ ,,მოგირავნე“ ან ,,მისო“ წარმოდგენილი ---------- პ/ნ ---------- სახით და მეორე მხრივ ---------- (დაბადების თარიღი ---------- პირადი N ----------, ბარათისN ----------, რეგისტრირებული მისამართი: ----------; ფაქტიური მისამართი: ---------- ელექტრონული ფოსტა: ----------) შემდგომ ,,დამგირავებელი“ ან ,,მსესხებელი“ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია იღებს ვალდებულებას მსესხებელზე გახსნას საკრედიტო ხაზი, რომლის საფუძველზეც მსესხებელზე გასცემს სესხს/სესხებს, ხოლო მსესხებელი იღებს ვალდებულებას დააბრუნოს მიღებული სესხი/სესხები, გადაიხადოს დარიცხული პროცენტები და შეასრულოს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები.

1.2 საკრედიტო ხაზის, სესხისა და გირავნობის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად, გირავნობით იტვირთება ავტომანქანა (გირავნობის საგანი), რომლის რეკვიზიტები მითითებულია 1.3 პუნქტში და გირავნობის საგნის შესახებ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით შედგენილ შეფასების აქტში, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და თან ერთვის (დანართი #1).

1.3 გირავნობის საგანს წარმოადგენს ავტომანქანა, რომლის მახასიათებლებია:

1.3.1 ავტომანქანის მარკა, მოდელი –----------

1.3.2 ავტომანქანის ფერი – ----------

1.3.3 ავტომანქანის გამოშვების წელი – ---------- წ

1.3.4 საიდენტიფიკაციო ნომერი – ----------

1.3.5 ტრანსპორტის სარეგისტრაციო ნომერი – ----------

1.3.6 ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის გაცემის თარიღი

1.3.7 სანომრე ნიშანი ---------- ----------

1.3.8 ავტომანქანის მდებარეობა ---------- საქართველო;

1.3.9 გირავნობის საგანი მხარეთა მიერ შეფასებულია ლარად.

2. მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობა გაცემულია წელს, რომლის თანახმადაც მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებას რომლის მახასიათებლები აღწერილია 1.3 პუნქტში,

3. ამ ხელშეკრულებით მოგირავნეს სხვა კრედიტორებთან შედარებით აქვს უპირატესი უფლება დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში (სესხის ძირითადი თანხის, სესხის პროცენტისა და პირგასამტეხლოს სახით, ასევე წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა ხარჯების სახით) დაგირავებული ქონების გასხვისების ხარჯზე ან საკუთრებაში გადაფორმების გზით წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით;

4. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი/დამგირავებელი განზრახ დააზიანებს/გადამალავს გირავნობის საგანს, მოგირავნე უფლებამოსილია, თავისი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს მოვალის სხვა ქონებიდან.

5. გირაოთი უზრუნველყოფილი მაქსიმალური თანხა ლარი;

2. ძირითადი პირობები:

2.1 სესხის /კრედიტის ტიპი ,,ავტოსესხი“;

2.2 სესხის ოდენობა და ვალუტა ---------- GEL

2.3 მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა: ---------- ლარი

2.4 სესხის გაცემის მიზანი სამომხმარებლო;
2.5 სესხის გაცემის საკომისიო ---- სესხის თანხის -------- %;
2.6.

შსს–ის მომსახურების სააგენტოს ხარჯი (ლარში) --	---------- ლარი
განაღდების საკომისიო --	---------- ლარი
კრედიტ ინფოს ხარჯი	---------- ლარი

2.7. გასანაღდებელი თანხა - ---------- GEL
2.8. გატანის პერიოდულობა/გატანის თარიღები და გატანების საერთო რაოდენობა:
2.9. სესხით სარგებლობისა/კრედიტის ვადა: -------- თვე;
2.10. საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა - ------- თვე;
2.11. სესხის დაფარვის თარიღი: ---------- წ
2.12. გადახდის შუალედი: 1.00 თვე,
2.13. ყოველთვიური გადასახდელი (ძირი თანხა+პროცენტი+სმს საკომისიო) - ----------
2.14. ვადის ბოლოს შენატანი (ძირითადი თანხა + პროცენტი + სმს საკომისიო) - ----------
2.15. თანდართული გრაფიკი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. (დანართი N2) გრაფიკით გათვალისწინებული გადასახდელის არასრულად გადახდის ან გადახდის ვადების დარღვევის შემთხვევაში, გაუქმდება გირავნობის საგნის მართვის უფლება და გირავნობის საგანი გადავა მოგირავნის ავტოსადგომზე.
2.16. სმს მომსახურების საფასური - 0.1 ლარი (10 თეთრი), გეგმიურად გადახდის წერტილებში, გრაფიკის მიხედვით (ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის შესაბამისად), ტრანშის ათვისების შემთხვევაში გაიზრდება სმს საკომისო იმდენჯერ (10 თეთრით) რამდენი ტრანშის ათვისებაც მოხდება;
2.17. კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი - ფიქსირებული;
2.18. ყოველთვიური საპროცენტო სარგებელი: სესხის ძირი თანხის ---- %
2.19. კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი - ------- %;
2.20. კრედიტის წლიური ეფექტური საპროცენტო სარგებელი - ----- %
2.21. საპროცენტო სარგებლის დარიცხვა იწყება სესხის თანხის მიღების მომენტიდან და გრძელდება სესხის ძირი თანხის მსესხებლის მხრიდან ნებაყოფლობით სრულად დაფარვამდე, ან მისოს მიერ სესხის იძულებით ამოღებამდე (აღსრულებამდე);
2.22. საპროცენტო სარგებლის გაანგარიშება ხდება კრედიტით სარგებლობის ფაქტიური დღეების შესაბამისად: წელიწადში 365 დღეზე გაანგარიშებით
2.23. პირგასამტეხლო - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სესხის მიმდინარე ძირი თანხის 0.17%, ამასთან, პირგასამტეხლოს (მათ შორის ნებისმიერი სახის ჯარიმის, საკომისიოს, საურავის) ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სესხის მიმდინარე ძირი თანხის 1.5 მაგ ოდენობას.
2.24. პირგასამტეხლოს დარიცხვა იწყება ვადამოსული ვალდებულების გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, გადახდის ვადიდან მეორე დღეს;
2.25. პირგასამტეხლოს დარიცხვა წყდება: ა) მსესხებლის მიერ სესხის ძირი თანხის და პროცენტის გრაფიკის შესაბამისად ნებაყოფლობით სრულად დაფარვის შემთხვევაში, გ) მსესხებლის მიერ სესხის ძირი თანხის და საპროცენტო სარგებლის გადაუხდელობის შემთხვევაში მოგირავნის მიერ სესხის იძულებითი ამოღებით (აღსრულებით);
2.26 მისოსთან შეთანხმებით, მსესხებლის წერილობითი განაცხადის საფუძველზე, შესაძლებელია სესხის რესტრუქტურიზაცია/რეფინანსირება - გრაფიკით დადგენილი ყოველთვიურად გადასახდელი თანხის ოდენობის და გადახდის თარიღის ცვლილება, რაც თავის მხრივ იწვევს სესხის დავარვის გრაფიკის ცვლილებას; აღნიშნული შეთანხმება ხდება წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.
2.27. იმ შემთხვევაში თუკი მსესხებელი გადაიხდის გრაფიკით დადგენილ გადასახადზე მეტს, თანხის ნამეტით დაიფარება სესხის ძირი თანხის შესაბამისი ნაწილი;
2.28. წინასწარ დაფარვის საკომისიო იანგარიშება კრედიტის წინსწრებით(ნაწილობრივ წინსწრებით დაფარვის მომენტში დარჩენილ ძირითად თანხაზე მიმართული თანხიდან, და ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადის შესაბამისად, შეადგენს 2%-ს, თუ დარჩენილია 24 თვეზე მეტი ვადა, 1%-ს, თუ დარჩენილია 12-დან 24 თვემდე ვადა, 0.5%-ს თუ დარჩენილია 6-დან 12 თვემდე ვადა და 0%-ს თუ დარჩენილია 6 თვემდე ვადა. ხოლო საკუთარი სახსრებით დაფარვის შემთხვევაში, თუ დარჩენილია 24 თვეზე მეტი ვადა წინსწრების საკომისიო შეადგენს წინსწრებით დასაფარი თანხის 1%-ს.

2.29. კრედიტის სრულად დასაფარად საკმარისი თანხით არ მოხდება კრედიტის წინსწრებით დაფარვა ავტომატურად, თუ მომხმარებელმა ზეპირად ან/და წერილობოთ არ მოითხოვა სესხის წინსწრებით დაფარვა.
2.30. სესხის დაფარვის თანმიმდევრობა: ა) პირგასამტეხლო; ბ) დარიცხული სარგებელი; გ) სესხის ძირითადი თანხა.
2.31. მისო სესხის თანხას გასცემს მას შემდეგ, რაც წინამდებარე ხელშეკრულება დარეგისტრირდება შსს მომსახურების სააგენტოში, გირავნობით დაიტვირთება უზრუნველყოფის საგანი და შსს მომსახურების სააგენტო გასცემს შესაბამის ცნობას.

3 სასესხო ვალდებულების უზრუნველყოფა:

3.1 მსესხებლის მიერ, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (მათ შორის, დარიცხული სარგებლის, პირგასამტეხლოს გადაუხდელობის) შემთხვევაში, მისო უფლებამოსილია, გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები.
3.2 მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად დაგირავებულია ავტომანქანა მარკა, მოდელი ----------; სახელმწიფო ნომერი ----------; საიდენტიფიკაციო ნომერი ---------- რომელიც წარმოადგენს ---------- (პირადი # ----------) საკუთრებას (შემდგომში ,,ქონება”).

4. მისოს (მოგირავნის) უფლება-მოვალეობანი:

4.1 მისო ვალდებულია:
4.1.1 მხარეთა შორის გირავნობის ხელშეკრულებით და ამ ხელშეკრულებით წარმოშობილი ყველა ვალდებულების დაფარვის შემდეგ გააუქმოს გირავნობის უფლება;
4.1.2 წინასწარ გააფთხილოს მსეხებელი გირავნობის საგნის მოსალოდნელი რეალიზაციის, გასხვისების შესახებ და მიუთითოს თანხა, რომლის გამოც უნდა მოხდეს გირავნობის საგნის რეალიზაცია, გასხვისება;
4.1.3 არ გასცეს არანაირ ინფორმაცია, მსესხებლის შესახებ გარდა კანონმდებლობით დადგენილი წესებისა;
4.2 მისო უფლებამოსილია:
4.2.1 დააგირაოს მსესხებლის გირაო მისი თანხმობის გარეშე;
4.2.2 მსესხებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის, სესხისა და დარიცხული სარგებლის და პირგასამტეხლოს გადაუხდელობის, ანუ ამ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მისო უფლებამოსილია თავისი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს გირავნობის საგნიდან, იხელმძღვანელოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 2581-ე (აიღოს გირავნობის მოწმობა და მოითხოვოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით დაგირავებული ავტომობილის მის მფლობელობაში გადაცემა) 2601-ე (მოგირავნემ გადაიფორმოს დაგირავებული ნივთი საკუთრებაში) 276-ე, 278-ე, 2811-ე 282-ე, 283-ე (მისომ უშუალოდ მოახდინოს გირაოს საგნის რეალიზაცია, ან მისი გაყიდვა მიანდოს სპეციალურ დაწესებულებას) და 284-ე გირავნობის საგნის რეალიზაცია განახორციელოს ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის ან შსს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული გირავნობის მოწმობის საფუძველზე;
4.2.3 მისოს უფლება აქვს, მიიღოს ყველანაირი საჭირო ინფორმაცია (მათ შორის ყველა საჭირ დოკუმენტაცია) როგორც სესხის მიზნობრივი გახარჯვის შესამოწმებლად, ისე მსესხებლის ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის შესამოწმებლად, რასაც მსესხებელი/დამგირავებელი წარუდგენს მოთხოვნიდან 3 დღის განმავლობაში;
4.2.4 ამ ხელშეკრულებით მიღებული გირაო უზრუნველყოფს მოგირავნის მოთხოვნას იმ მოცულობით, რომელიც მას გააჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილების მომენტში.
4.2.5 გირაოს საგნის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მოგირავნის თანხმობის საფუძველზე;
4.2.6 თუ ირკვევა, რომ მსესხებელი არ/ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს მოგირავნეს უფლება აქვს დამგირავებელს მიმართოს დაგირავებული ავტომობილის მოგირავნის მფლობელობაში გადმოსაცემად, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია მიმართოს ნოტარიუსს ან მომსახურების სააგენტოს, აიღოს გირავნობის მოწმობა ან სააღსრულებო ფურცელი, წარუდგინოს სააღსრულებო დაწესებულებას და მოითხოვოს მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მის მფლობელობაში გადაცემა, რის შემდეგაც მოგირავნე ახორციელებს თავისი შეხედულებისამებრ მის რეალიზაციას ან თავის საკუთრებაში გადაცემას მოგირავნის თანხმობის გარეშე.

4.2.7 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 199-ე 201-ე და 269-ე მუხლების შესაბამისად მისო უფლებამოსილია ერთპიროვნულად მსესხებლის თანხმობის გარეშე წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი მოთხოვნა უზრუნველყოფის საგანთან ერთად დაუთმოს მესამე პირს;
4.2.8 გირაოს რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხით დაიფარება რეალიზაციის ხარჯები _ მათ შორის:
4.2.8.1 საფოსტო-სატელეფონო;
4.2.8.2 ქონების ამოღებაზე მიმართვის ხარჯები (გირავნობის მოწმობის ასაღებად ან ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გასაცემად);
4.2.8.3 სააღსრულებო;
4.2.8.4 გირაოს გასხვისების ან მოთხოვნის დათმობის საკომისიო არაუმეტეს გირაოს ღირებულების 5%-ისა;
4.2.8.5 ექსპერტ-სპეციალისტის (სარეალიზაციო ავტომანქანის შეფასების, ასეთის არსებობის შემთხვევაში);
4.2.8.6 ავტომანქანის მოწესრიგების (გარეცხვა, ქიმწმენდა, ავტონაწილების შეძენა-შეკეთება-საჭიროების შემთხვევაში) საწვავის;
4.2.8.7 დგომის სარეალიზაციოდ გაყვანამდე (ყოველდღიური ერთი ლარი) და გაყვანის შემდეგ (ყოველდღიური ერთი ლარი);
4.2.8.8 გირაოს რეალიზაციის საკომისიო არაუმეტეს გირაოს ღირებულების 2 %-ისა მათ შორის აუქციონის (თუ ამ ფორმით წარიმართა რეალიზაცია);
4.2.8.9 საადვოკატო-სასამართლო (თუ შეიქმნა ამის საჭიროება);
4.2.8.10 სხვა აუცილებელი ხარჯები;
4.2.8.11 სესხის ძირი თანხა, დარიცხული სარგებელი და პირგასამტეხლო;
4.2.9 იმ შემთხვევაში თუკი მისო მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად თვითონ მოახდენს გირავნობის საგნის რეალიზაციას, მისო უფლებამოსილია მოითხოვოს გირაოს რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხიდან გირაოს რეალიზაციის საკომისიო არაუმეტეს გირაოს ღირებულების 7%-ისა (შესაბამისად გირაოს რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხიდან აღარ დაიფარება გირაოს 4.2.8.4 და 4.2.8.9 პუნქტებში მითითებული ხარჯები;
4.2.10 ამ მუხლში მითითებული მიზნების მისაღწევად (ავტომობილის რეალიზაცია) მისო უფლებამოსილია გამოიყენოს დამგირავებლის მიერ მასზე ან/და მის თანამშრომელზე გაცემული ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე მინიჭებული ავტომობილის მართვისა და განკარგვის უფლებები და გადანდობის უფლება;.
4.2.11 მიმართოს მარეგისტრირებელ ორგანოს განცხადებით, რომლის საფუძველზეMმოგირავნე დამგირავებლის (მესაკუთრის) სახელით სათანადო დოკუმენტაციით გადასცემს საკუთრების უფლებასGგირავნობის საგანზე მის მიერ შერჩეულ ნებისმიერ პირს;
4.2.12 თუ გასაყიდად გადაცემული ან დათმობილი სესხის გირაო ჯერ კიდევ არ არის რეალიზებული, მსესხებლის მიერ მისი უკან დაბრუნების თხოვნისა და მის მიერ დარიცხული პროცენტის, პირგასამტეხლოსა და საკომისიოს გადახდის შემთხვევაში მისო უფლებამოსილია დაიბრუნოს ეს გირაო და გაუახლოს მსესხებელს სესხი.

5. მსესხებლის /დამგირავებლის უფლება-მოვალეობანი:

5.1 მსესხებელი ვალდებულია, დაფაროს სესხის თანხა ან/და მასზე დარიცხული სარგებელი გრაფიკის შესაბამისად, გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში (გრაფიკის დარღვევა) _ დამატებით გადაიხადოს პირგასამტეხლო;
5.1.1 Dდამგირავებელი, მოგირავნის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე წარუდგენს გირავნობის საგანთან დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციას და დოკუმენტაციას;
5.1.2 დამგირავებელი ვალდებულია აცნობოს მოგირავნეს ყოველი საკითხის ან გარემოების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს გირავნობის საგანზე;
5.1.3 გირავნობის საგანი ინახება დამგირავებელთან, შესაბამისად იგი ვალდებულია მიიღოს ყველა საჭირო ზომა გირავნობის საგნის დაცვის, მესამე პირების ხელყოფისაგან დაცვის და კარგ მდგომარეობაში შენარჩუნებისთვის, იმ შემთხვევაში თუ ქონება დაიკარგება ან დაზიანდება ან თუ მასზე საკუთრების უფლება შეწყდება კანონით დაგენილ საფუძველზე, დამგირავებლი ვალდებულია მოგირავნისთვის მისაღებ ვადაში აღადგინოს ქონება ან შეცვალოს სხვა, იმავე ღირებულების ქონებით მასთან შეთანხმებით მოგირავნისთვის მისაღებ ვადაში;
5.1.4 ქონების მოვლისა და შენახვის ხარჯები და მისი შემთხვევითი დაღუპვის რისკი მთლიანად ეკისრება დამგირავებელს;

5.1.5 მსესხებელი სესხის დაბრუნების ვადის გასვლის შემდეგ კრედიტისა და გირავნობის ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, სასამართლოში სარჩელის შეტანის დღიდან ვალდებულია გადაიხადოს ყოველთვიურად საპროცენტო სარგებელი სესხის ძირი თანხის **3.0 %** და პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სესხის ნარჩენი ძირი თანხის **0.17**%-ის ოდენობით (ამასთან, პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სესხის მიმდინარე ძირი თანხის 1.5 მაგ ოდენობას) , სასამართლო გადაწყვეტილების სრულ აღსრულებამდე;
5.1.6 თუ მსესხებელს აქვს რამდენიმე სესხი, სარგებლის დაგვიანებით გადახდის შემთხვევაში იგი ვალდებულია სარგებელი (%-ი) გადაიხადოს პირველ რიგში იმ სესხზე (როცა გირაო რეალიზებული არ არის) რომელზეც %-ის გადაუხდელობის გამო უფრო მეტი ვადაა გასული, ან უზრუნველყოს დავალიანების დაფარვა ყველა სესხზე ერთდროულად.
5.1.7 თუ მსესხებელს აქვს რამდენიმე სესხი, მსესხებლის მიერ სხვადასხვა დროს გატანილი სესხის უზრუნველსაყოფად მისოში სხვადასხვა დროს შემოტანილი ან/და რეგისტრირებული გირავნობით დატვირთული ყოველი გირაო ავტომატურად ხდება მსესხებლის მიერ გატანილი ყველა სესხის უზრუნველყოფა შესაბამისად მისოს თანხმობის გარეშე მსესხებელს უფლება არა აქვს რომელიმე სესხის სრულად დაფარვის შემთხვევაში გაიტანოს დაფარულ სესხზე არსებული გირავნობის საგნები, ან მოითხოვოს გირავნობის რეგისტრაციის მოხსნა მის მიერ ყველა სესხის სრულად დაფარვამდე;
5.1.8 მსესხებელი/დამგირავებელი ვალდებულია, სარეალიზაციოდ გადაცემული ავტომანქანის ან მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებით გადაცემული მოთხოვნისა და უზრუნველყოფის საგნის (ავტომანქანის) უკან დაბრუნების შემთხვევაში გადაუხადოს მისოს საფოსტო-სატელეფონო, ექსპერტ-სპეციალისტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ავტომანქანის მოწესრიგების (გარეცხვა, ქიმწმენდა, საჭიროების შემთხვევაში ავტონაწილების შეძენა - შეკეთება), საწვავის, დგომის სარეალიზაციოდ გაყვანამდე და გაყვანის შემდეგ და საკომისიო არაუმეტეს გირაოს ღირებულების 5 %-ისა;
5.1.9 მსესხებელი ვალდებულია, შეამციროს სესხის თანხა, ან გაზარდოს გირაო სხვა უზრუნველყოფით შესაბამის ოდენობამდე, გირაოს შეფასების ტარიფების კლების მიმართულებით შეცვლის შემთხვევაში მისოს მიერ შეცვლის შესახებ გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებულ ვადებში;
5.1.10 მსესხებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს მისოს ზარალი, რომელიც მას მიადგება მსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი პირობის დარღვევით;
5.1.11 დამგირავებელს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში უფლება არა აქვს განკარგოს, გაყიდოს, გააჩუქოს, იჯარით გასცეს, გირავნობით დატვირთოს, უსასყიდლოდ გამოყენების პირობით გადასცეს მესამე პირს, მის სახელზე გასცეს გირავნობის საგანთან დაკავშირებული მინდობილობა, ან სამართავად გადასცეს სხვა პირს გირაოს საგანი, ანდა გავიდეს საზღვარგარეთ გირაოს საგნით, წინააღმდეგ შემთხვევაში მოგირავნეს უფლება აქვს დაუყონებლივ დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა გირავნობის საგნიდან;
5.1.12 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მსესხებელს უფლება არა აქვს მისოს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე იკისროს ვალები და/ან ვალდებულებები მესამე პირის (ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი) წინაშე;
5.1.13 მსესხებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისას, მსესხებლის გაფთხილებიდან ორი კვირის ვადაში პროცენტის ან/და პირგასამტეხლოს, მისი არსებობისას, სესხის თანხის და რომელიმე გადასახდელი თანხის ნაწილის კვლავ გადაუხდელობის შემთხვევაში მსესხებელი ამ ხელშეკრულებით თანხმობას აძლევს მისოს წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, თავისი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს გირავნობის საგნიდან. შესაბამისად, დამგირავებელი თანმხობას აცხადებს, მისომ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დამგირავებლის ნებართვის გარეშე გაახსხვისოს (გაყიდოს, დაუთმოს) გირავნობის საგანი, მესამე პირზე.
5.1.14 ავტომანქანის საჯარიმო სადგომზე მოხვედრის შემთხვევაში მესაკუთრე ვალდებულია გადასცეს მისოს გირავნობის საგანი.
5.1.15 ავტომანქანის მართვისა და ავტოსაგზაო შემთხვევის დროს მისი დაზიანების შემთხვევაში მიყენებული ზიანი სრულად უნდა ანაზღაურდეს დამგირავებლის მიერ.
5.1.16 დამგირავებელი ვალდებულია გადაიხადოს წინამდებარე ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმების, მისი გაუქმების, მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციის გადასახადები და მოსაკრებლები;
5.1.17 მსესხებელი/დამგირავებელი ვალდებულია, წინასწარ აცნობონ მისოს საცხოვრებელი ადგილის შეცვლისა და ახალ ადგილზე საცხოვრებლად გადასვლის თარიღის შესახებ, ასევე ფინანსურ ან/და ქონებრივ

მდგომარეობაში არსებული ან მოსალოდნელი არსებითი ცვლილებების და ასევე იმ გარემოებათა შესახებ, რომლებმაც შეიძლება განაპირობონ ასეთი ცვლილებები;
5.1.18 მსესხებელი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მიიღოს მისოდან სასესხო ამონაწერი.

6. დამგირავებლის (მსესხებლის) განცხადებები გარანტიები და პასუხისმგებლობა:

6.1 მსესხებელი/დამგირავებელი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:
6.1.1 დამგირავებელი კანონიერად ფლობს საკუთრების უფლებას გირავნობის საგანზე;
6.1.2 ამ ხელშეკრულების თანახმად ქონების გირაოდ გადაცემა არ ეწინააღმდეგება კანონს და სხვა საკანონმდებლო აქტებს და არ არღვევს კანონის მიერ დაცულ სხვა პირების უფლებებსა და ინტერესებს;
6.1.3 ქონება არ არის დაყადაღებული და არ არის დატვირთული დამგირავებლის სხვა ვალდებულებებით მესამე პირების მიმართ;
6.1.4 ქონებას არ გააჩნია რაიმე თვისება, რომლის გამოვლინების შედეგად ადგილი ექნება მის დაღუპვას, დაზიანებას ან გაფუჭებას, ქონება ვარგისია ექსპლუატაციისათვის;
6.1.5 გააჩნია წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის, დადებისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილება და შესაძლებლობები;
6.1.6 არ მონაწილეობს არცერთ სასამართლო პროცესში მათ შორის სისხლის სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, რითაც საფრთხე ემუქრება მის ქონებას და მის მიერ მისოს წინაშე წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას;
6.1.7 წინამდებარე ხელშეკრულების დადების დღეს მისი საცხოვრებელი ადგილია ხელშეკრულებაში მითითებული მისამართი;
6.1.8 მის მიერ მოგირავნისთვის წარდგენილი ინფორმაცია წინამდებარე ხელშეკრულების დადების დრისთვის არის უტყუარი,ზუსტი და ამომწურავი;
6.1.9 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია მის მიერ ნებაყოფლობით, მსესხებლის/მოგირავნის ან სხვა მესამე პირთა მხრიდან ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის ან/და სხვა გარემოებების გამოყენების გარეშე, ამასთან დამგირავებლისთვის ცნობილია, რომ ყალბი ცნობის, ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის მიწოდება საკრედიტო ან/და გირავნობის ხელშეკრულების გასაფორმებლად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დასჯადი ქმედებაა;
6.1.10 ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ ერთი თვით ადრე წერილობით ელექტრონული ფოსტით (არსებობის შემთხვევაში), მოკლე ტექსტური შეტყობინებით (მობილური ტელეფონის ნომერზე) ან გამსესხებლისთვის ცნობილ და მომხმარებლის მიერ მოწოდებულ მისამართზე. ამასთან, გამსესხებელი არ არის ვალდებული წინასწარ აცნობოს მსესხებელს/მესაკუთრეს ცვლილება, თუ ხელშეკრულების პირობები იცვლება მსესხებლის/მესაკუთრის სასარგებლოდ.
6.2 „მხარეები თანხმდებიან, რომ თუ მომხმარებელს აქვს ერთზე მეტი მიმდინარე დავალიანება და მომხმარებლის ანგარიშზე განთავსებული თანხა არ არის საკმარისი ერთზე მეტი ვადამოსული/ვადაგადაცილებული ვალდებულების სრულად შესასრულებლად, თუ მომხმარებელი **წერილობით** დააფიქსირებს განცხადებას უფლება აქვს მოითხოვოს მის მიერ შემოტანილი თანხის წარმართვა კონკრეტული სესხის დასაფარად, შესაბამისად უფლება აქვს აირჩიოს ვალდებულებების დაფარვის რიგითობა.“

7. ხელშეკრულები მოქმედების ვადა, მისი შეცვლისა და შეწყვეტის პირობები:

7.1 მისო უფლებამოსილია 7.3 პუნქტში აღწერილი რომელიმე გარემოების დადგომის შემთხვევაში შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოითხოვოს სესხის ძირი თანხის, დარიცხული საპროცენტო სარგებლისა და პირგასამტეხლოს დაუყოვნებლივი სრული დაფარვა;
7.2 მსესხებელი ვალდებულია ასეთი შეტყობინების მიღების შემდეგ და მასში მითითებულ ვადაში დააბრუნონ სესხის ძირი თანხა მასზედ დარიცხულ პროცენტებთან და ხელშეკრულების თანახმად გადასახდელ ყველა სხვა თანხასთან ერთად;
7.3 მისოს მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს ერთ-ერთი შემდეგი გარემოების არსებობა, კერძოდ თუ:
7.3.1 გავიდა სესხის სარგებლობის ვადა;
7.3.2 ადგილი აქვს მსესხებლის მიერ სესხის ვადაგადაცილებას;
7.3.3 მსესხებელი ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით დადგენილ ნებისმიერ ვალდებულებას;

7.3.4 არსებობს მნიშვნელოვანი ცვლილება მსესხებლის ან/და თავდების (თავდებების) ფინანსურ ან/და ქონებრივ მდგომარეობაში, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად გაართულოს ან შეუძლებელი გახადოს სასესხო ვალდებულების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით შესრულება;
7.3.5 ნებისმიერი განცხადება ან გარანტია, რომელსაც ადასტურებდა მსესხებელი ან/და თავდები (თავდებები) ან რაც მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულებასთან კავშირში, აღმოჩნდება არსებითად არასწორი;
7.3.6 მისოსთან წინასწარი შეთანხმების გარეშე სესხის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენება მოხდა ხელშეკრულების გათვალისწინებული მიზნობრიობის დარღვევით;
7.4 მსესხებელს/დამგირავებელს ნებისმიერ დროს აქვს უფლება მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა, რა დროსაც იგი ვალდებულია გადაუხადოს მისოს დარიცხული პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სესხის ნარჩენი ძირი თანხა და მასზე დარიცხული პროცენტი, .ხოლო წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში - წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებბული საკომისიო.

8. სხვა პირობები:

8.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს გირავნობით უზრუნველყოფილი ყველა ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე;
8.2 როგორც მისო, ისე მსესხებელი და თავდები (თავდებები) იღებენ ვალდებულებას დაიცვან ერთმანეთის შესახებ ინფორმაციის საიდუმლოება, გაუფრთხილდნენ ერთმანეთის საქმიან რეპუტაციას და არ გაახმაურონ ხელშეკრულების პირობები, გარდა წინამდებარე ხელშეკრულებით ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
8.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ასევე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობებში შეტყობინებები უნდა ჩაბარდეს პირადად ან ოჯახის სრულწლოვან წევრს ან გაიგზავნოს დაზღვეული ან რეგისტრირებული საფოსტო გზავნილით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით, ინტერნეტბანკინგით, მობილბანკით, მოკლეტექსტური შეტყობინებით ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე და იგი ჩაითვლება ჩაბარებულად ნებისმიერი აქ დათქმული ფორმით გაგზავნისას;
8.4 მხარეთა ადგილსამყოფელზე გაგზავნილი შეტყობინებები ითვლება მის მიერ მიღებულად მიუხედავად იმისა მისი რეალური ადგილსამყოფელი ემთხვევა თუ არა შეტყობინების გაგზავნის დღეს გამგზავნისთვის ცნობილ მის მისამართს, თუ ახალი ადგილსამყოფელის და იქ გადასვლის თარიღის შესახებ მხარეს წერილობით წინასწარ არ უცნობებია შეტყობინების გამგზავნი მხარისათვის;
8.5 ნებისმიერი მესამე პირი, ვინც მისოში გამოცხადდება და დაფარავს კრედიტს ან გადაიხდის სარგებელს, ჩაითვლება მსესხებლის წარმომადგენელად, ასევე, მისოს მიერ მისთვის გადაცემული წერილობითი შეტყობინება ჩაითვლება უშუალოდ მსესხებლისათვის გადაცემულად;
8.6 ხელშეკრულების ერთერთი მხარის მიერ რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას;
8.7 ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა დებულებების ბათილობას;
8.8 ამ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მხარეთა ხელმოწერით და მისოს ბეჭდით დადასტურებული წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. რის შემდეგაც ისინი გახდებიან ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი;
8.9 ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. ამ გზით ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ნებისმიერი დავა, გამომდინარე მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულებიდან, დაკავშირებული მის შესრულებასთან, დარღვევასთან, შეწყვეტასთან, ბათილობასთან, ხელშეკრულებიდან გასვლასთან განსახილველად გადაეცემა აჭარის ა.რ სავაჭრო სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო არბიტრაჟს საინდენტიფიკაციო კოდი: 445384959, (მდებარე ქ. ბათუმი, ა.მელაშვილის ქ.#26. მე-3 სართული), მისი დებულების შესაბამისად. დავას განიხილავს ერთი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟი, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოო და სავალდებულოა მხარეთათვის.
8.10 ფინანსური ორგანიზაციის საზედამხედველო ორგანოა საქართველოს ეროვნული ბანკი, მისამართი: 0114 თბილისი, საქართველო, სანაპიროს ქუჩა № 2.
8.11 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემა მსესხებელს/მოგირავნეს, მისოს. ერთი ეგზემპლარი რჩება შსს მომსახურების სააგენტოში.

8.12 მომხმარებელს უფლება აქვს, წარადგინოს პრეტენზია ფინანსური ორგანიზაციის პრეტენზიების სამსახურში, ზეპირი, წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. ნებისმიერი ტიპის პრეტენზიაზე პასუხი მხარეს გაეცემა ერთი თვის ვადაში, იმავე ფორმით რა ფორმითაც მიმართავს მხარე, ორგანიზაციას. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია ორგანიზაციის ნებისსმიერი მომსახურების ოფისში/სერვისცენტრში. პრეტენზიის განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ორგანიზაციის ცხელ ხაზზე, ასევე ნებისმიერი მომსახურების ოფისში/სერვისცენტრში.
8.13. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ შპს მისო „ბერმელში“ ამა თუ იმ ფორმით თანხის განთავსებას, გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოცემული გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ:

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ბერმელი“ არ არის ლიცენზირებული ბანკი და ბანკისგან განხვავებით მასზე ვრცელდება მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი. მისი გაკოტრების შემთხვევაში თქვენ შესაძლოა, ვერ დაიბრუნოთ თქვენი თანხა.

9. მხარეთა რეკვიზიტები:

გამსესხებელი/მოგირავნე
შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი“
საიდენტიფიკაციო კოდი 245431108
მისამართი: ქალაქი ბათუმი, ფარნავაზ მეფის N93/99
ტელეფონი: 27 56 50
წარმომადგენელი: ----------
ხელმოწერა _____

მსესხებელი/დამგირავებელი:
სახელი, გვარი: ----------
პირადი ნომერი: ----------
მისამართი: ----------
ელ, ფოსტა: ----------
ტელ. ნომერი: ----------
ხელმოწერა: _____